



2085-15-3-2-201902191133



N 15-3/2085
19/02/2019

საქართველოს მთავარ პროკურორს ბატონ შალვა თადუმაძეს

წინავარება

ბრალდებულების ९

۲۸

ମିଳିମାର୍ଗ

სამართალდამცავების მხრიდან არაპროპორციული ძალის შესაძლო გამოყენების ფაქტზე
გამოძიების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ჭრისუნარითის შესაბამისად.

ბატონი შალვა,

2019 წლის 6 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ქ. თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში (დილომი) მოინახულის ბრალობის გადასახმავი

განმარტებით, 2019 წლის 5 თებერვალს, 01:00 საათზე, იმყოფებოდა ქ. თბილისში, მეტროსადგურ „ნაძალადევი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე და

ერთად, რა დროსაც მათთან მივიღნენ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები. პოლიციელებმა სამივე მათგანს ჩაუტარეს პირადი ჩხრევა, რის შემდეგაც გადაიყვანეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამართველოს მე-9 განყოფილებაში.

ის თქმით, პოლიციის განყოფილებაში მიყვანისთანავე შეიყვანეს განყოფილების უფროსთან, ხოლო მისი მეგობრები ჩაიყვანეს ადმინისტრაციული შენობის ქვედა სართულზე. ბრალდებულის მტკიცებით, განყოფილების უფროსმა ჰკითხა „რატომ არ ჩერდებით“, რაზეც მან კითხვითვე მიმართა, თუ რას გულისხმობდა. აღნიშნულზე ხსენებულმა პირმა ფეხი დაარტყა მუცლის არეში, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და შეაფურთხა. მან მოუწოდა პოლიციის თანამშრომელს აღარ მიეყენებინა ფიზიკური შეურაცხყოფა, თუმცა, იგივე პირმა და მასთან ერთად პოლიციის რამდენიმე თანამშრომელმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, კირძოც.

ურტყამდნენ ხელებს და ფეხებს, რის შედეგადაც იგი დაეცა ძირს, რა დროსაც კვლავ გრძელდებოდა მის მიმართ ძალადობა. ამასთან, ერთ-ერთმა მათგანმა თავი ჩაარტყა სახის არეში.

როგორც ბრალდებულმა აღნიშნა, განხორციელებული ძალადობის შემდეგ, დაადეს ხელბორკილი და ჩაიყვანეს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე, რა დროსაც ხმამაღლა ითხოვდა შველას. მის მოწოდებას გამოხმაურნენ და ი. როდესაც მათ დაინახეს იგი ნაცემი, გამოხატეს პროტესტი, რასაც შედეგად მოჰყვა პოლიციელების მიერ მისი მეგობრების ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. კერძოდ, მათ სცემდა დაახლოებით ხუთი პოლიციელი, ურტყამდნენ ხელებს და ფეხებს, რის შედეგადაც მე და უცნენ ძირს.

ბრალდებულებმა და მა განმარტეს, რომ პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგ, ი აიყვანეს განყოფილების უფროსის კაბინეტში, ხოლო ისინი ჩაიყვანეს ადმინისტრაციული შენობის სარდაფში. მათი მტკიცებით, განყოფილების უფროსმა და მასთან ერთად სხვა პოლიციელებმაც მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. კერძოდ, მათ ესმოდათ ყვირილის ხმა, რაზეც სარდაფიდან ავიდნენ ფორეში, სადაც დაინახეს რომ! უკვე ჩამოყვანილი ჰყავდათ პირველ სართულზე. ფორეში სამივე მათგანს პოლიციელებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, ჩაიყვანეს კვლავ სარდაფში, სადაც დაახლოებით 10-15 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა მათ მიმართ ფიზიკური ძალადობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში შედგენილი დაკავებულის სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, აღენიშნება: მარჯვენა თვალის ზედა ქუთუთოზე, შუბლზე მარჯვნივ, მარცხენა ბარძაყის გარეთა ზედაპირზე მოწითალო, მოიისფრო სისხლნაჟღენთები; მარცხენა თვალის ზედა ქუთუთოზე ნაკაწრი ირგვლივ მცირე სისხლნაჟღენთით; მარცხნივ, ტუჩ-ნიკაპის მიღამოში ნაკაწრები, მარცხენა წვივზე ნაკაწრი; მარცხენა კოჭ-წვივის სახსართან ზედაპირული ნაჭდევი. ორივე მაჯაზე ჰიპერემია და ხაზოვანი ნაკაწრები. პაციენტის გადმოცემით აღწერილი დაზიანებები მიიღო პოლიციის თანამშრომლების მიერ მის მიმართ განხორციელებული ძალადობის შედეგად.

ამავე დოკუმენტაციის თანახმად, აღენიშნება მოიისფრო სისხლნაჟღენთი მარცხენა თვალის ზედა ქუთუთოზე; ჰიპერემია ცხვირის კეზზე; ნახეთქი ჭრილობა ნიკაპზე. პაციენტის თქმით, აღწერილი დაზიანებები მიაყენეს პოლიციელებმა დაკავებისას პოლიციელები თავდასხმის დროს. კერძოდ, შელაპარაკების დროს ერთ-ერთ პოლიციელს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შემდეგაც დანარჩენებმა გააკავეს ძალის გამოყენებით და სცემეს ხელებით.

ეს დოკუმენტების მიხედვით აღენიშნება ჰიპერემია და ტკივილი წელის მიღამოში; ჰიპერემია გულმკერდის მარცხენა ნახევარში და მხრის სახსართან; ნაჭდევი და ნაკაწრი წელის მიღამოში. პაციენტის თქმით, აღწერილი დაზიანებები მიაყენეს პოლიციის თანამშრომლებმა, კერძოდ, წაქციეს იატაკზე და ურტყეს ხელები და ფეხები, მას შემდეგ, რაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ერთ-ერთ პოლიციელს.

ქ. თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელდა
‘ , და ۹ ს სხეულის დაზიანებების ფოტოგრაფირება, სადაც
ნათლად ჩანს ზემოთ აღწერილი დაზიანებები.

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოიპოვა :

სა და

ბრალდებულის სახით დაკავების ოქმები, რომელთა

თანახმად, მითითებულმა პირებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს პოლიციელებს. ხსენებულ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ბრალდებულების მიმართ დაკავებისას გამოყენებულ იქნა „პროპორციული ზომები“. თუმცა, მითითებული არ არის აღნიშნული პროპორციული ზომების მიღება გამოიხატა თუ არა ფიზიკური ძალის გამოყენებაში და ასეთის შემთხვევაში, დაკავების ოქმებში აღწერილი ბრალდებულთა ფიზიკური დაზიანებები გამოიწვია თუ არა პოლიციელთა მიერ აუცილებელი ფიზიკური ძალის გამოყენებამ.

სამართლებრივი დასაბუთება:

საქართველოს უზენაესი კანონის – კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად,

„1. ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.“

ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლება – წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახვი მოპყრობის აკრძალვა – აბსოლუტურ უფლებას წარმოადგენს. აღნიშნული უფლება ადამიანის, როგორც პიროვნების, განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. დაუშვებელია მისი შეზღუდვა ნებისმიერი მიზნით, ასევე, მისი გამართლება რომელიმე გარემოებითა თუ დანაშაულის სიმძიმის მოტივით.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, ერთი მხრივ, თავი შეიკავოს პირის წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისგან; მეორე მხრივ, აკრძალოს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახვი მოპყრობა საკანონმდებლო დონეზე, ხოლო ასეთი ქმედების ჩადენის შემთხვევაში ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება, გამოავლინოს აღნიშნული ქმედების ჩამდენი პირი (პირები), განახორციელოს მართლმსაჯულება და დამნაშავეს დააკისროს სამართლიანი სასჯელი.

ამდენად, დაკავებული პირის ნებისმიერი განცხადება/ინფორმაცია, რომლის თანახმად, მის მიმართ სამართალდამცავების მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალადობას, წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას – დაიწყოს გამოძიება. ამასთან, სახელმწიფოს ვალდებულება – დანაშაულის

ფაქტზე (მათ შორის, პოლიციელის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში) განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება: ჩატაროს ეფექტიანი გამოძიება, აუცილებლად გულისხმობს და მოიცავს მის ინსტიტუციურ და პრაქტიკულ დამოუკიდებლობას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „მიქაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ განაცხადა, რომ „სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, მე-3 მუხლი არ კრძალავს ძალის გამოყენებას დაკავების მიზნებისათვის. თუმცა მსგავსი ძალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ გარდაუვალ ვითარებაში და ის არ უნდა იყოს გადამეტებული.¹ თავისულებააღვეთილ პირთან მიმართებით ფიზიკური ძალის გამოყენება, რაც არ იყო მკაფრად აუცილებელი ამ პირის ქმედებიდან გამომდინარე, ლაპარა ადამიანურ ღირსებას და პრინციპში, წარმოადგენს მე-3 მუხლით დაცული უფლების დარღვევას.²“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა საქმეზე „რეზოუკი სლოვენიის წინააღმდეგ“, კერძოდ, „სასამართლო იხსენებს, რომ განმცხადებელს აწუხებდა ყბის ორმაგი მოტეხილობა, ისევე, როგორც სახის კონტუზია. მიყენებული მძიმე დაზიანების გათვალისწინებით, აგრეთვე ზემოხსენებულ დასკვნაში განვითარებული მსჯელობის მიუხედავად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია დასაბუთებული ან სარწმუნო არგუმენტაცია, რაც ძირეულად ახსნიდა ან გაამართლებდა დაკავების ოპერაციის დროს ძალის გამოყენების ხარისხს. შესაბამისად, გამოყენებული ძალა იყო გადაჭარბებული და გაუმართლებელი მოცემულ გარემოებებში”.

დასკვნა:

მოცემულ შემთხვევაში, მოქალაქეების განცხადება პოლიციელების მხრიდან განხორციელებული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ფაქტზე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მათ აღენიშნებოდათ დაზიანებები, მიუთითებს, რომ შესაძლოა, დაკავებული პირების მიმართ ადგილი ჰქონდა არაპროპორციული ძალის გამოყენებას. შესაბამისად, აუცილებელია ადეკვატური რეაგირების განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც მიმართული იქნება მართლმსაჯულების განხორციელებისკენ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. აღნიშნული მოთხოვნა იმპერატიულ ხასიათს ატარებს და შესაბამისად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ გამოძიების მწარმოებელი პირის/ორგანოსთვის არ არსებობს ალტერნატივა. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გამოძიების დაწყება, რაც შემდეგ ეფექტიანი გამოძიების წარმოებით უნდა გაგრძელდეს, რათა დადგენილი იქნას ყველა ფაქტობრივი გარემოება, ჩატარდეს ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება კანონიერი გზით შესაბამისი მტკიცებულებების მიზნით.

¹ ასევე, იხ. Altay v. Turkey, no. 22279/93, §54, 22 May 2001; Ivan Vasilev v. Bulgaria, no. 48130/99, §63, 12 April 2007.

² იხ. Ribitsch v. Austria, 4 December 1995, §38, Series A no. 336

წიშანდობლივია, რომ „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ 2013 წლის 7 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის N34 ბრძანების დანართის მე-2 პუნქტის თანახმად, პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქმე პოლიციელის მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლიდან და ზემოაღნიშნული ბრძანების დანართის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა ერთდროულად უფლებამოსილი და ვალდებულია დაიწყოს და აწარმოოს გამომძიება მოქალაქეების მიმართ სამართალდამცავი პირების მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულის ფაქტზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ გამომძიება

ს, ც ა და

იმართ სამართალდამცავების მხრიდან არაპროპორციული ძალის შესაძლო გამოყენების ფაქტზე. კერძოდ,

ს, ც ა და

აეულის დაზიანებების წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით უნდა შეფასდეს სამართალდამცავი პირების მხრიდან გამოყენებული იყო თუ არა პროპორციული ფიზიკური ძალა ბრალდებულთა მხრიდან შესაძლო ფიზიკური წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით.

ამასთან, ც

და ც

სხეულზე არსებუ-

ლი დაზიანებების ხარისხის, ხასიათის, ხანდაზმულობის, წარმოშობისა და განვითარების მექანიზმის დასადგენად, აუცილებელია, მოხდეს დროული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა და ჩატარება. ამავდროულად, სამართალდამცავი პირების მხრიდან ბრალდებულების მიმართ განხორციელებული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ფაქტზე გამოძიების ეფექტიანად წარმართვის მიზნისთვის მნიშვნელოვანია ფაქტის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერის ამოღება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ამასთან, გთხოვთ, მაცნობოთ მოცემული წინადადების განხილვის შედეგები „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 65 (სამოცდახუთი) ფურცელი და CD დისკი.

პატივისცემით,

წინო ლომჯარია

5-


სახალხო დამცველი

